საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 მასალების საწყობის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

თბილისი
2022 წ

შპს საქართველოს ტექნიკური ჯგუფი

LTD GEORGIAN TECHNICAL GROUP

საიდენტიფიკაციო კოდი 200236707

Mob. 595 22 23 45
595 991999, 595991991

E-mail: gtg200236707@gmail.com
georgiantechgroup@gmail.com

-- -------- 2022 წ.

საექსპერტო დასკვნა

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 მასალების საწყობის შენობის პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე

ექსპერტი: გ. ნოზაძე

თბილისი
2022 წ

წარმოდგენილი მასალები

1. პროექტის კონსტრუქციული ნაწილი;
2. საინჟინრო გეოლოგიური დასკვნა;
3. პროექტის არქიტექტურული ნაწილი.

გამოყენებული ნორმატიული ლიტერატურა

1. პროექტირების ნორმები, პნ 03.01.-09 „ბეტონისა და რკინაბეტონის და რკინაბეტონის კონსტრუქციები“;
2. პროექტირების ნორმები, პნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“;
3. პროექტირების ნორმები, პნ 02.01-08 „შენობების და ნაგებობების ფუძეები“;
4. პროექტირების ნორმები, პნ 01.05-08 „სამშენებლო კლიმატოლოგია“;
5. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП 2.01.07-85 „დატვირთვები და ზემოქმედებები“;
6. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-23-81* „ფოლადის კონსტრუქციები“;
7. სამშენებლო ნორმები და წესები, СНиП II-28-73 „სამშენებლო კონსტრუქციების დაცვა კოროზიისაგან“.

შემოწმებული იქნა ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 საწყობის შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილი, რომელიც დამუშავებულია შპს „მუხა.გ“-ს მიერ და წარმოდგენილია A3 ფორმატის 16 ფურცელზე.

მშენებლობისათვის განკუთვნილი სამშენებლო მოედანი მიეკუთვნება 8 ბალიან სეისმური საშიშროების ზონას, სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A-0,17; ქარის ნორმატიული დატვირთვა შეადგენს 0.60 კპა; თოვლის საფარის ნორმატიული დატვირთვაა 0.50 კპა;

პროექტში წარმოდგენილია საწყობის შენობის შენობის კონსტრუქციული ნახაზები.

საწყობის შენობა ერთსართულიანია, წარმოდგენილია ერთმალიანი ლითონის კარკასული კონსტრუქციით. შენობის გაბარიტული ზომებია 27.44x12.35 მ. შენობის კონსტრუქციული სიმაღლეა 6.20 მ.

ლითონის სვეტების საძირკვლებთან მიერთების კვანძები ხისტია, ლითონის სვეტების და კოჭების მიერთების კვანძებიც ხისტია. შენობის სივრცული მდგრადობის უზრუნველსაყოფად მოწყობილია ვერტიკალური და ჰორიზონტალური კავშირები. ლითონის მზიდ სვეტებად გამოყენებულია ორტესებრი პროფილი HEA200.

ფურც. კ- 5 წარმოდგენილია წერტილოვანი და კედლის ლენტური საძირკვლების განლაგების გეგმა, მოცემულია კონსტრუქციული ელემენტების მარკირება და დამახასიათებელი ჭრილები.

შენობის მზიდი ლითონის სვეტები ეყრდნობა რკინაბეტონის წერტილოვან საძირკვლებს. დაპროექტებული წერტილოვანი საძირკველი, წარმოდგენილია ფურცლებზე კ-6:

- წერტილოვანი საძირკველი წს1 გაბარიტული ზომებით 1.50 x 1.50 მ სისქე 0.50 მ, არმირებულია ერთშრიანი არმირებით.

ფურც. კ-7 წარმოდგენილია კონსტრუქციული ელემენტების განლაგება 0,00მ ნიშნულიდან +1,00 მ ნიშნულამდე, შესაბამისი მარკირებით.

ფურც. კ-8 წარმოდგენილია კედლის ლენტური საძირკველი და რკინაბეტონის კედელი ლენტურ საძირკველთან ერთად, მოცემულია დამახასიათებელი ჭრილები კარის ღიობთან და კედლის განლაგების ადგილზე. რკინაბეტონის ლენტური საძირკველის განივკვეთია 50X25 სმ, რკინაბეტონის კედლის სიგანეა 20 სმ, რომელიც მოეწყობა შენობის კონტურზე გარდა შესასვლელი კარებებისა +1,00 მ ნიშნულამდე.

ფურც. კ-9 მოცემულია ლითონის სვეტი ლს-1 და ლს-2 შესაბამისი კვანძებით და სპეციფიკაციით, ორივე ლითონის სვეტის შეთხვევაში გამოყენებულია ორტესებრი პროფილი HEA200.

გადახურვის კონსტრუქციული ელემენტების გრძივების და კოჭებს შორის კავშირების განლაგების სქემა.

ფურც. კ-10 წარმოდგენილია ლითონის ფახვერკის სვეტების (მილკვადრატის პროფილი 150X100X4) განალაგების სქემები, კონსტრუქციული ელემენტების მარკირებით.

ფურც. კ-11 წარმოდგენილია შენობის გადახურვის კონსტრუქციული სქემა შესაბამისი მარკირებით, მოცემულია ლითონის კოჭების სპეციფიკაცია. ლითონის კოჭებად გამოყენებულია ორტესებრი პროფილი HEA240, ჰორიზონტალურ კავშირებად - 80X6.

ფურც. კ-12 წარმოდგენილია საწყობის შენობის სახურავის კონსტრუქციული ელემენტების დამახასიათებელი კვანძები მარკირებით, მოცემულია გრძივების, ჰორიზონტალური კავშირების და გრძივების კოჭებთან დამაკავშირებელი დეტალების სპეციფიკაცია. გრძივებად გამოყენებულია მილკვადრატი 120X80X4, ჰორიზონტალურ კავშირებად და სამაგრ დეტალებად - თანაბართაროიანი კუთხოვანა 80X6.

ფურცლებზე კ-13 წარმოდგენილია ვერტიკალური კავშირების განლაგების კონსტრუქციული სქემა დამახასიათებელი კვანძებით და მასალის სპეციფიკაციით.

ფურც. კ-15 და კ-16 მოცემულია მოცემულია მასალების ბეტონის, არმატურის და ლითონის ფურცლების და საძირკვლის ანკერების სპეციფიკაცია.

<u>დასკვნა:</u> ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 საწყობის შენობის კონსტრუქციულ ნაწილზე შეიძლება აღინიშნოს შემდეგი:

1. შენობის კონსტრუქციული ნაწილი დაპროექტებულია მოქმედი სამშენებლო ნორმების და წესების დაცვით, შესაბამისი ნორმატიული დატვირთვების გათვალისწინებით;
2. პროექტში წარმოდგენილია ლითონის ელემენტების სამონტაჟო გეგმები და ჭრილები ასევე ლითონის ელემენტების შეერთების დამახასიათებელი კვანძები;
3. მოცემულია რკინაბეტონის კონსტრუქციული ელემენტების მარკირება;
4. წარმოდგენილია კონსტრუქციული ელემენტების არმირების სქემები;
5. მოცემულია მასალების სპეციფიკაციები შესაბამისი მარკირების მიხედვით.

ქ. თბილისში, გურამიშვილის ქ. N64 საწყობის შენობის **საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილი შესრულებულია მუშა პროექტის დონეზე მოქმედი სამშეენბლო ნორმების და წესების დაცვით და შესაბამისობაშია გაანგარიშების შედეგების მონაცემებთაან. პროექტის მიხედვით შესაძლებელია მშენებლობის სამუშაოების ჩატარება. პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.**

შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი“-ს
დირექტორი, ინჟინერ-კონსტრუქტორი,
ექსპერტი /გ. ნოზაძე/


Georgia
GEO
GIORGI
NOZADZE
GEO 88 / M 57001030358
14.05.1972
20.08.2024
13IF47175


KHASHURI
20.08.2014
MINISTRY OF JUSTICE
IDGE013IF47175157001030358<<<<
7205147M2408208GE0<<<<<<<<<<<2
NOZADZE<<GIORGI<<<<<<<<<<<<<<

დიპლომი

წარჩინებით

УВ № 997959

ეს დიპლომი მიეცა გიორგი გიულის ძე ნოზაძეს

მასზე, რომ იგი 1990 წელს შევიდა საქართველოს მრეწველობის ინჟინერ-მშენებელთა ინსტიტუტში

და 1995 წელს დაამთავრა ოთხწლიანი ინსტიტუტის სრული კურსი სპეციალობით სამოქალაქო და სამრეწველო მშენებლობა

სახელმწიფო სატესტაციო კომისიის 1995 წ. „30“ ივნისის გადაწყვეტილებით გ. გ. ნოზაძეს მიენიჭა ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია.

სახელმწიფო სატესტაციო კომისიის თავმჯდომარე

რექტორი

ბ. ა.

ქალაქი თბილისი 1995 წ. „7“ IX

სარეგისტრაციო № 0983

Грузинский яз.

ДИПЛОМ

С ОТЛИЧИЕМ

УВ № 997959

Настоящий диплом выдан Нозадзе Георгию Гиуличевичу

в том, что он в 1990 году поступил в Грузинский технический университет

и в 1995 году окончил полный курс названного университета

по специальности промышленное и гражданское строительство

Решением Государственной экзаменационной комиссии от „30“ июня 1995 г. Нозадзе Г. Г.

присвоена квалификация инженера-строителя

Председатель Государственной экзаменационной комиссии

Ректор

Секретарь М. Бучукури

м. п.

Город Тбилиси „7“ 09 1995 г.

Регистрационный № 0983

Московская типография Гознака. 1988.

GEORGIA

MASTER'S DIPLOMA

With Honours

AB № 0000045 ❋

This is to certify that Mr / Ms Giorgi Nozadze G.
in 1997 completed a full Master's academic course of the
Civil Engineering Faculty of the
Georgian Technical University
majoring in Industrial and Civil
Engineering
and defended Master's theses „Determination of Optimal
Dimensions of Metal Perforated Cantilever Beams".

By resolution of the State Examination Board, dated November
11, 1997 Mr / Ms Giorgi Nozadze G. is
conferred the academic degree of Master of
Engineering
qualifying as Civil Engineer

Rector

Seal of Office

Chairman of the State Examination Board

Dean

City Tbilisi 11.X.1999

Registration № 0086 Secretary

საქართველო

მაგისტრის დიპლომი

ჯეროვანი შეფასებით

AB № 0000045 ❋

მიეცა გიორგი ნოზაძეს

მასზედ, რომ მან 1997 წელს დაამთავრა საქართველოს

ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო

ფაკულტეტის მაგისტრატურის სრული კურსი სამრეწველო

და სამოქალაქო მშენებლობის სპეციალობით

და დაიცვა სამაგისტრო ნაშრომი თემაზე: „ლითონის ნახვრეტებიანი კონსოლური კოჭების მდგრადობის განსაზღვრა".

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის 1997 წლის „11" XI

გადაწყვეტილებით გ. ნოზაძეს მიენიჭა

ინჟინერ-მშენებლის კვალიფიკაცია

მაგისტრის აკადემიური ხარისხი.

რექტორი

სახელმწიფო საგამოცდო კომისიის თავმჯდომარე

დეკანი

ქალაქი თბილისი 11.X.1999 წ.

სარეგისტრაციო № 0086 მდივანი

ბიორგი ნოზაძე

მობ: 595 22 23 45, 595991991

ელ. ფოსტა: gia_nozadze@mail.ru

სპეციალობა:

ინჟინერ-მშენებელი

განათლება:

1990-1995. სტუდენტი; სამშენებლო ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტი, სპეციალობა – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა თბილისი.

1995-1997. მაგისტრატურა; სამშენებლო ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტი, სპეციალობა – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. თბილისი.

1997-2001 ასპირანტურა; სამშენებლო ფაკულტეტი, საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტი, სპეციალობა – სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობა. თბილისი.

სამუშაო გამოცდილება:

1997-2005 საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის საპროექტო-საკონსტრუქტორო ბიუროს წევრი.

1999-2006 საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის სასწავლო ნაწილის უფროსი

2002-2006 საქართველოს ტექნიკური უნივესიტეტის სამშენებლო ფაკულტეტის "მშენებლობის კომპიუტერული პროექტირების სისტემები" კათედრის ასისტენტი

2005 კონსტრუქტორი, შპს "გეოინჯინერინგი"

2005- 2006 კონსტრუქტორი, შპს **"IDC"**

2005-2007 შპს "პლანეტა"-ს ტექნიკური დირექტორი

2006 –2009 შპს „ექსპერტი -2006"-ში მშენებელი-ექსპერტი

2007- დან დღემდე შპს „საქართველოს ტექნიკური ჯგუფი"-ს დირექტორი

კომპიუტერული პროგრამების ცოდნა:

AutoCAD, ArchiCAD, Microsoft Word, Microsoft Excel, Photoshop,

საანგარიშო პროგრამები: **Lira, Monomax, fundament**

შესრულებული სამუშაოები:

2007- ქ. თბილისი, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი დელისი-3 ქუჩაზე. კონსტრუქტორი

2007-სს „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის“ წვრილსორტული საამქროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა.

2007-სს „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის“ ბლუმინგის საამქროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა.

2007-სს „რუსთავის მეტალურგიული ქარხნის“ მილსაგლინავი საამქროს შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა.

2007-ქ. თბილისის №28, 42, 53 ბიბლიოთეკის რეკონსტრუქციის პროექტის

2008 წ.–ქ. თბილისში, ნუცუბიძის IV მ/რნ-ის ასასვლელთან მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

2008წ. – ფოთი, ტერმინალ 1-ის რკინიგზის ესტაკადის გადახურვის კონსტრუქტორი.

2009 წ.–ქ. თბილისი, შავიშვილის ქ. №1-ში არსებული ექვსსართულიანი საოფისე შენობის კონსტრუქციული ნაწილის კონსტრუქტორი.

2009წ.– სოფ. პატარა ფოთში ბეტონის ქარხნის საძირკვლების და საოფისე-სასაწყობე შენობების პროექტის კონსტრუქტორი.

2009წ.– ბოგდან ხმელნიცკის №147-ში მდებარე 9 სართულიანი მსხვილბლოკური ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრება-გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა.

2009წ.– 8 სართულიანი აგურის ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების ღონისძიებები კ. გამსახურდიას გამზირი №2, ექსპერტიზა.

2009წ.– ვარკეთილი-3 I მ/რ კორპ. №25-ში მდებარე საცხოვრებელი სახლის 4 ბლოკის გამაგრება-გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა.

2009წ.– მოსკოვის გამზირი, V კვარტალი, კორპუსი №11 9 სართულიანი ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრება-გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა.

2009წ.– ვაზისუბნის მე-2ა მ/რ, კორპ. №23-ში მდებარე ავარიული 9 სართულიანი, მრავალსექციური, მსხვილპანელური საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრება-გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა.

2009წ.– სანატორიუმ „ქართლი“-ს შენობის (თბილისის ზღვაზე) გამაგრება-გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა.

2009წ.– სანატორიუმ „ქართლი“-ს შენობის (თბილისის ზღვაზე) გამაგრება-გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა.

2009წ.– ვარკეთილი-3, IIIა მ/რ კორპ. №338 კორპუსის გამაგრება-გაძლიერების პროექტის ექსპერტიზა.

2009წ.-__ქ. თბილისში, იალბუზის, ლუსიანასა და 300 არაგველის ქუჩებს შორის მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის შენობის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

2009წ. –ქ. თბილისში, შეშელიძის ქ. №45-თან ავტომომსახურების ცენტრის და სავაჭრო ფართის პროექტი. მთ. კონსტრუქტორი

2009წ. ქ. თბილისში, ამაღლების ქ. №18-ში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2009წ. ქ. თბილისში, აღმაშენებლის გამზ. №93-ში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2009წ. ქ. თბილისში, ჩიტაიას ქ. №15-ში არსებული ავარიული საცხოვრებელი სახლის აღდგენა-გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2009წ. ქ. თბილისში, მთაწმინდის შეს. №5-ში არსებული საყრდენი კედლის აღდგენა-გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2009წ. ქ. თბილისში, კეკელიძის ქ. №18-ის და ლარსის ქუჩის გამყოფი საყრდენი კედლის პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2010 წ. ქ. თბილისში, ლაღიძის ქ. №2-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის დროებითი გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2010 წ. ქ. თბილისში, ზუბალაშვილების ქ. №56-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2010 წ. ქ. თბილისში, წავკისის ქ. №13-ში მდებარე ავარიული საყრდენი კედლის გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2010 წ. ქ. თბილისში, ზემო ვაკის ქ. №22-24 სა და №26-28-ს შორის მდებარე ავარიული საყრდენი კედლის მოწყობის პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2010 წ. ქ. თბილისში, შპს „წისქვილკომბინატი თბილისი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე ასაშენებელი ფქვილის დასაყოვნებელი სილოსების შენობის საპროექტო დოკუმენტაციის ექსპერტიზა.

2010 წ. ქ. თბილისში, ძველი თბილისის რაიონში მდებარე 50 ავარიული საცხოვრებელი სახლის გამოკვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება.

2011 წ. ქ.თბილისში შპს „მჯ“-ს სწარმოო შენობის რეკონსტრუქციის პროექტის ექსპერტიზა.

2011 წ. ქ. თბილისში, შპს „წისქვილკომბინატი თბილისი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე ასაშენებელი ფქვილის დასაყოვნებელი სილოსების შენობის მშენებლობის ეტაპების ექსპერტიზა.

2011 წ. ქ. გორში, სამეფოს ქ. №70-ში ოთხსართულიანი მრავალფუნქციური შენობის პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2011 წ. ქ.თბილისში შპს „მჯ“-ს საწყობის შენობის გამოკვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება.

2011 წ. ქ. თბილისში, მიცკევიჩის ქ. №54-ში მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობის პროექტის კონსტრუქციული ნაწილის ექსპერტიზა.

2011. წ. ქ. თბილისში, ამაღლების ქ. №18, გრიბოედოვის ქ. №13 და ჩუბინაშვილის ქ. №25-ში მდებარე საცხოვრებელი შენობების გაძლიერების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2012 წ. ქ.თბილისში აკადემიკოს ილია ვეკუას სახ. ფიზიკა-მათემატიკური საჯარო სკოლის გაძლიერება-რეკონსტრუქციის პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2012 წ. ქ. თბილისში, ზესტაფონის ქ. №27-ში შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის დაცვის და სამშენებლო სამსახურის შენობის გაძლიერების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2012 წ. ქ.თბილისში გაეროს საოფისე შენობის გამოკვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება.

2013 წ. ქ. ფოთში, შპს „წისქვილკომბინატი თბილისი“-ს კუთვნილ ტერიტორიაზე წისქვილკომბინატის შენობის ტექნიკური მდგომარეობის გამოკვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება

2013 წ. ქ. ფოთში, შპს „ფოთი ტერმინალ ჰოლდინგი“-ს ტერიტორიაზე ახლად აშენებული შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2014 წ. ქ. თბილისში, შპს „სან პეტროლიუმ ჯორჯიას სასაწყობე შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2014 წ. ქ. გარდაბანში, დ. აღმაშენებლის ქ. №1-ში მშენებარე კომერციული ობიექტის შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2014 წ. დაბა სტეფანწმინდაში კულტურის სახლის საპროექტო დოკუმენტაციის კონსტრუქციული ნაწილის საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2015 წ. ქ. ფოთში, ნავთობის მილსადენის რეკონსტრუირებული საყრდენი კონსტრუქციების ტექნიკური მდგომარეობის შესახებ საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2015 წ. ქ. თბილისში, ქინქლაძის ქ. №13-ში მდებარე ავარიული საცხოვრებელი სახლის გამაგრების პროექტი. მთ. კონსტრუქტორი.

2016 წ. ქ. ფოთში, მე-2 ფაზაზე არსებული ნავთობის მილსადენის საყრდენი კონსტრუქციების და ესტაკადაზე არსებული რკინაბეტონის არხის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2016 წ. ქ. თბილისი, ამაღლების ქ. №36-34/2-ში მდებარე სამსართულიანი საცხოვრებელი სახლის შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2016 წ. ქ. თბილისში, თევდორე მღვდლის ქ. №27-ში მდებარე სამსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2016 წ. ქ. თბილისში, ორხევის დასახლებაში, სსიპ „შემოსავლების სამსახური“-ს საბაჟო დეპარტამენტის ადმინისტრაციული შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2016 წ. ქ. თბილისში, ბერი გაბრიელ სალოსელის გამზ. №126-ში მდებარე სამსართულიანი შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2016 წ. დაბა ყაზბეგში, კურორტი გუდაურში შპს „სასტუმრო გუდაური ინნ“-ის კუთვნილი სასტუმროს რეკონსტრუქცია-გამაგრების პროექტის კონსტრუქციულ ნაწილზე საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2016 წ. ქ. სიღნაღი, სოფ. ტიბაანში თეიმურაზ ნასყიდაშვილის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე განთავსებული ერთსართულიანი საწყობის ფარდულის შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2016 წ. ქ. თბილისში, ჯორბენაძის ქ. №30-ში მდებარე შენობის რეკონსტრუქციის სამუშაოების შესაძლო ზეგავლენა მომიჯნავე შენობების ტექნიკურ მდგომარეობაზე საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2017 წ. ლილო ლოჭინის 36 კმ-ზე მდებარე საბაჟო გაფორმების ცენტრის შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2017 წ. ქ. თბილისში, ლ. ღოღობერიძის №67ბ-ში, შპს „ნუტრიმაქსი“-ს კომბინირებული საკვების წარმოების შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2017 წ. ქ. თბილისში, ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩის დასაწყისში არსებული ბენზინგასამართი სადგურის ფარდულის გადახურვის შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2017 წ. ქ. თბილისში, წყალსადენის ქუჩაზე მდებარე სავაგონე ჩიხიდან ნავთობბაზისკენ მიმავალი მილსადენის კოლექტორის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2018 წ. ქ. თბილისში, ლ. ღოღობერიძის №67ბ-ში, შპს „ნუტრიმაქსი“-ს ტერიტორიაზე მოსაწყობი 4 ცალი 275 ტ. ტევადობის სასაწყობე ლითონის სილოსის ფუძეების, საძირკვლების და კონსტრუქციის შეფასება და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2018 წ. ქ. თბილისში, ლ. ღოღობერიძის №67ბ-ში, შპს „ნუტრიმაქსი“-ს ტერიტორიაზე მოსაწყობი 4 ცალი 275 ტ. ტევადობის სასაწყობე ლითონის სილოსის მომიჯნავე შენობის ტექნიკური მდგომარეობის კვლევა და საექსპერტო დასკვნის მომზადება;

2019 წ. ქ. ფოთი, წმინდა გიორგის ქ. №25 ყოფილი ჰიდრომეტეოროლოგიური ინსტიტუტის შენობის აღდგენა-გამაგრება. კონსტრუქტორი.;

2020წ. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნასაკირალის საჯარო სკოლის მშენებლობის პროექტი. კონსტრუქტორი.

გ. ნოზაძე